სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 121 (235) | ხუთშაბათი, 2 ნოემბერი | 1944 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ მერეცკოვს
ადმირალ გოლოვკოს

ქარელიის ფრონტის ჯარებმა, ჩრდილოეთის ფლოტის შენაერთებთან და ხომალდებთან თანამოქმედებით, უტევდნენ რა იმიერპოლარეთის მძიმე პირობებში, დღეს, 1 ნოემბერს, დაამთავრეს პეჩენგის (პეტსამოს) ოლქის სრული განთავისუფლება გერმანელ დამპყრობთაგან.

პეჩენგის ოლქის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ შჩერბაკოვის, გენერალ-მაიორ აბსალიამოვის, გენერალ-მაიორ მიკულსკის, გენერალ-მაიორ კოროტკოვის, გენერალ-მაიორ ჟუკოვის; პოლკოვნიკ სოლოვიოვის, პოლკოვნიკ გრებენკინის, გენერალ-მაიორ პანკინის, პოლკოვნიკ კალერინის, პოლკოვნიკ კოშჩიენკოს, პოლკოვნიკ ლისენკოს, პოლკოვნიკ კალინოვსკის, გენერალ-მაიორ ხუდალოვის, პოლკოვნიკ ბლაკის, პოლკოვნიკ ამვროსოვის, გენერალ-მაიორ სოპენკოს, პოლკოვნიკ სტარიცევის, პოლკოვნიკ ნიკანდროვის, პოლკოვნიკ ევმენოვის, პოლკოვნიკ კრილოვის, პოლკოვნიკ რასოხინის, გენერალ-მაიორ დუბოვცევის, სანაპირო სამსახურის გენერალ-მაიორ კუსტოვის ჯარებმა; კონტრ-ადმირალ მიხაილოვის, კონტრ-ადმირალ ფოკინის, 1-ლი რანგის კაპიტან კუზმინის, 1-ლი რანგის კაპიტან კლევენსკის, 1-ლი რანგის კაპიტან კოლიშკინის, მე-2 რანგის კაპიტან ალექსეევის, მე-3 რანგის კაპიტან ზიუზინის, მე-3 რანგის კაპიტან ფედოროვის, მე-2 რანგის კაპიტან კორშუნოვიჩის მეზღვაურებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ დმიტრიევის, არტილერიის გენერალ-მაიორ პანიტკინის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ვოევოდინის, პოლკოვნიკ იაროსლავცევის, პოლკოვნიკ გრიგორიევის, პოლკოვნიკ ბანდიუკევიჩის, პოლკოვნიკ მანიაკინის, პოლკოვნიკ ლიხუტის, პოლკოვნიკ ხრამოვის, პოდპოლკოვნიკ გოლდიხოვის, პოდპოლკოვნიკ ფეტისოვის, პოდპოლკოვნიკ ერესკოს, პოდპოლკოვნიკ შაპიროს, პოდპოლკოვნიკ შეკელის, პოდპოლკოვნიკ ზუბარევის, პოდპოლკოვნიკ კრივოშეევის, მაიორ გოლუბევის, მაიორ ედემსკის, მაიორ ვაკუროვის, პოლკოვნიკ ბოჩკოვის, პოლკოვნიკ უხანოვის, პოდპოლკოვნიკ იუსოვის, პოლკოვნიკ პერლოვის, პოდპოლკოვნიკ ბერეზინის, მაიორ დოლოცენკოს, პოდპოლკოვნიკ ტიტოვიჩევის, პოდპოლკოვნიკ კოზლოვის, პოდპოლკოვნიკ როგოვოის, პოლკოვნიკ სოგოლევის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კონონოვის, პოლკოვნიკ სოკოლოვის, პოლკოვნიკ იურენკოვის, პოდპოლკოვნიკ სუჩკოვის, პოდპოლკოვნიკ ტერენტიევის, პოდპოლკოვნიკ არშინევსკის, პოდპოლკოვნიკ ტარჩილინის, პოდპოლკოვნიკ ლეშჩენკოს, პოდპოლკოვნიკ კორშუნოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სოკოლოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ პრეობრაჟენსკის, ავიაციის გენერალ-მაიორ კიდალინსკის, ავიაციის გენერალ-მაიორ პეტრუხინის, პოლკოვნიკ შატკოვის, პოლკოვნიკ უდონინის, პოლკოვნიკ ლარიუშკინის, პოლკოვნიკ ფინოგენოვის, პოლკოვნიკ კალუგინის, პოლკოვნიკ მინაევის, პოლკოვნიკ პუშკარევის, პოლკოვნიკ პოგრეშაევის, პოდპოლკოვნიკ ლიტვინოვის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ხრენოვის, პოლკოვნიკ ლეიჩიკის, პოლკოვნიკ არშბას, პოდპოლკოვნიკ ზახაროვის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ დოგიკინის, პოლკოვნიკ ციმოვის, სახელმწიფო უშიშროების მაიორ გავრილოვის, მე-2 რანგის კაპიტან პოლოზოკის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ქარელიის ფრონტის შენაერთები და ნაწილები, აგრეთვე ჩრდილოეთის ფლოტის შენაერთები და ხომალდები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი პეჩენგის ოლქის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 1 ნოემბერს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ქარელიის ფრონტის მამაც ჯარებს და ჩრდილოეთის ფლოტის მეზღვაურებს, რომლებმაც გაათავისუფლეს პეჩენგის ოლქი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, აგრეთვე ჩრდილოეთის ფლოტის შენაერთებსა და ხომალდებს, რომლებიც მონაწილეობდნენ პეჩენგის ოლქის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 1 ნოემბერი.

პლაკატები ოქტომბრის დღეებისათვის

სახელმწიფო გამომცემლობა „ისკუსტვო" გამოსცემს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის მასობრივი ტირაჟით უშვებს პლაკატების სერიას, რომლებშიც ასახულია წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებანი და საბჭოთა ზურგის შრომითი მიღწევები.

წარწერების გარდა, შემდეგ მხატვართა პლაკატები: სერიანისოვისა — „ამხანაგებო, ვილოცავთ დიად დღესასწაულს", დენისა — „ოქტომბრის XXVII წლისთავი", კოკორეკინისა — „გამარჯვებულ მეომარს სიდიდეთ სახალხო სიყვარული", მოლინსკისა — „გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს" და სხვები.

მხატვრებმა კორეცკიმ, ივანოვმა და სხვებმა დახატეს თავდაცვითი ქარხნების სტახანოველებისადმი მიძღვნილი პლაკატები. (საქტასი).

ბოლო მოვუღოთ ფაშისტ მხეცს მის ბუნაგში

ამხანაგო მებრძოლო! მესამე დღეა შენ ისმენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის და შენი გული სიხარულით ივსება.

დიადად და ამაყად ისმის მოწოდებათა სიტყვები:

„საბჭოთა კავშირის მშრომელნო! წითელმა არმიამ განდევნა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან. გაუმარჯოს ჩვენს თავისუფალ საბჭოთა სამშობლოს! გაუმარჯოს გმირ წითელ არმიას — გამათავისუფლებელ არმიას!"

შენი გონება და გრძნობები ავსებულია ამ აღმაფრთოვანებელი სიტყვებით.

მათში ჩაქსოვილია ჩვენი ძლევამოსილი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, საბჭოთა ხალხის ძალა და უძლეველობა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის სიმტკიცე, ჩაქსოვილია გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის — ჩვენი ბოლშევიკური პარტიის დიადი სახელი, ბელადისა და უდიდესი მხედართმთავრის, ჩვენი სამშობლოს მხსნელისა და განმათავისუფლებლის მარშალ სტალინის დიდება!

ორმოცი თვის განმავლობაში ბილწი გერმანელი სთელავდა და ხელყოფდა ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალს, ანგრევდა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, ფაბრიკებსა და ქარხნებს, კულტურისა და ხელოვნების ძეგლებს, ჟლეტდა ჩვენს საბჭოთა ადამიანებს, შეურაცხყოფდა ჩვენს დედებს, ცოლებსა და დებს.

ათას ორას ოცდაექვსი დღისა და ღამის განმავლობაში ჩვენი ხალხი, წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები დაუღალავად, ძალ-ღონისა და სიცოცხლის დაუზოგავად ებრძვიან ფაშისტურ ურჩხულს. და აი, დადგა დიდი ხნის ნანატრი დღე! წითელმა არმიამ განდევნა გერმანელი არამზადები ჩვენი ქვეყნის საზღვრებიდან და ანადგურებს მტერს მის ბუნაგში, მის ბინძურ მიწაზე.

მარტო 1943 წლის ნოემბრიდან 1944 წლის ოქტომბრის შუარიცხვამდე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა — მოსკოვმა 168-ჯერ მისცა სალუტი წითელი არმიის მამაც ჯარებს. ამ ხნის განმავლობაში გაათავისუფლა 200-ზე მეტი დიდი ქალაქი, მათ შორის მოკავშირე რესპუბლიკათა 7 დედაქალაქი: კიევი, მინსკი, პეტროზავოდსკი, ვილნიუსი, კიშინიოვი, ტალინი, რიგა.

წითელი არმიის დარტყმებმა ნაცარტუტად აქცია ჰიტლერული ბლოკი. გერმანიის ყოფილი მოკავშირენი — რუმინეთი, ფინეთი, ბულგარეთი ჩამოსცილდნენ გერმანელებს.

ჰიტლერული გერმანიის უკანასკნელი მოკავშირე — ფაშისტური უნგრეთი დღეს თუ ხვალ გამოყვანილი იქნება წყობიდან.

ასრულებს რა თავის დიდ განმათავისუფლებელ მისიას, წითელმა არმიამ ძლევამოსილად გადაიტანა თავისი დროშები ევროპის სახელმწიფოთა დედა-ქალაქებზე — ბუხარესტზე, სოფიაზე, ბელგრადზე, იბრძვის ვარშავის კედლებთან და უახლოვდება ბუდაპეშტს.

იბრძვის რა მხარდამხარ იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიასთან, პოლონეთის ჯარებთან და ჩეხოსლოვაკიის პატრიოტებთან ერთად, წითელი არმია წარმატებით ათავისუფლებს ფაშისტური მონობიდან პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და ევროპის სხვა ქვეყნებს.

იოლად არ მიგვიღწევია ამ დიდ ისტორიულ გამარჯვებისათვის. ჩვენ ვიცით რამდენი ტანჯვა გადაიტანეს, რამდენი ცრემლი და სისხლი დაღვარეს ჩვენმა საბჭოთა ადამიანებმა, რომლებიც დროებით გერმანელი მხეცების უღელქვეშ მოექცნენ, რამდენი მსხვერპლი გაიღო ჩვენმა საბჭოთა ხალხმა, რათა დაემარცხებინა და განედევნა მტერი მშობლიური ქვეყნიდან. მაგრამ სიმძიმის ქვეშ ქედი არ მოუხრია ჩვენს გოლიათ ხალხს, პირქვე არ დამხობილა ფაშისტთა ჯალათური ურდოების წინაშე, არ დაემონა მტაცებელი მხეცის ბოროტ სურვილს.

ომის მსვლელობაში არნახულად გაიზარდა ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლევამოსილება, ამაღლდა მისი ავტორიტეტი და როლი საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენმა სამშობლომ, ომის უმძიმეს პირობებში, რაც სხვა სახელმწიფოებს კრახამდე მიიყვანდა, დიდად წარმართა წინ და აამაღლა სამხედრო ინდუსტრია.

თვითმფრინავთა აგება ომის წინაპერიოდულ დონესთან შედარებით 4-ჯერ გაიზარდა, საარტილერიო შეიარაღება 6-7-ჯერ, სატანკო — 7-8-ჯერ, ნაღმსატყორცნებისა და ავტომატებისა — მრავალ ათეულჯერ.

მხოლოდ ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოს, მხოლოდ ჩვენს დიდ, გოლიათ საბჭოთა ხალხს, რომელსაც აღაფრთოვანებს კაცობრიობის უდიდესი გენიოს ლენინ-სტალინის ხელმძღვანელობით ბრძოლებში გამობრძმედილი ბოლშევიკური პარტია, შეეძლო მოეხდინა ასეთი გმირული საქმე, ასეთი სასწაული, რომლის წინაშე უფერული ხდება ყველაფერი ის, რაც კი იცის კაცობრიობის ისტორიამ.

დიდია და უაღრესად მნიშვნელოვანი ჩვენი გამარჯვებები! მაგრამ ამ გამარჯვებებს არ შეუძლია დაამშვიდოს საბჭოთა ხალხი, ვიდრე პირსისხლიანი მტერი საბოლოოდ დამარცხებული არ არის, ვიდრე მისი ველური ბუდე არსებობს, ვიდრე ფაშისტურ მონობაში იტანჯებიან მილიონობით ჩვენი ძმები და დები, ვიდრე არ დასჯილან მხეცნი, ვიდრე უწყალო, ჯერ კიდევ უსჯელია, ვიდრე მშვიდობიანი მოქალაქე ხალხებს შორის.

„დავსაჯოთ გერმანელი ფაშისტი მტარვალები ჩვენი ქალაქებისა და სოფლების გაპარტახებისა და დანგრევისათვის, ქალებისა და ბავშვების მიმართ ძალადობისათვის, საბჭოთა ადამიანების მკვლელობისა და გერმანიის მონობაში წაყვანისათვის! შურისძიება და სიკვდილი ფაშისტ ბოროტმოქმედებს!"

„წითელი არმიის მეომრებო! თქვენ მოგელიან, როგორც განმათავისუფლებლებს მილიონობით საბჭოთა ადამიანები, რომლებიც გერმანიის კატორღაში იტანჯებიან. გაათავისუფლეთ ფაშისტური ტყვეობისაგან ჩვენი ძმები და დები!"

როგორც საყოველთაო-სახალხო ზარის გუგუნი, ისე გაისმის ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს მოწოდებანი.

ისინი ჩვენ მოგვიწოდებენ ბრძოლისაკენ საბოლოო გამარჯვებისათვის, ჩვენი სამშობლოს დიდებისათვის, ჩვენი ბედნიერებისათვის.

მებრძოლო, შევფიცოთ, რომ ჩვენ დაუღალავად სრულვყოფთ ჩვენს საბრძოლო ოსტატობას, რომ ჩვენს მახვილს ქარქაშში არ ჩავაგებთ, ვიდრე ბოლომდე არ შევასრულებთ ჩვენს წმიდა მოვალეობას, ვიდრე არ მოვსპობთ უკანასკნელ ფაშისტ ქვეწარმავალს.

დიდი საბჭოთა სახელმწიფოს მეომარო! წინ, დასავლეთისაკენ!

დავაწყნაროთ ფაშისტ კაციჭამიათა ავაზაკური ბუდე!

ბოლო მოვუღოთ ფაშისტ მხეცს მის ბუნაგში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
1 ნოემბრის ოპერატიული ცნობა

ქარელიის ფრონტის ჯარებმა, ჩრდილოეთის ფლოტის შენაერთებთან და ხომალდებთან თანამოქმედებით, უტევდნენ რა იმიერპოლარეთის მძიმე პირობებში, 1 ნოემბერს დაამთავრეს პეჩენგის (პეტსამოს) ოლქის განთავისუფლება გერმანელ დამპყრობთაგან.

უნგრეთის ქალაქ ნიირეძხაზას ჩრდილო-აღმოსავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ შეტევით ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ჟურაკი, ზაგონი, ტისაბეზდედი, მანდოკი, ტოკაი, ფენიეშლიტკე, საბოლჩვერეშმარტი, კიშ-ვარდა, კანიანი, ლაურასაზა და რკინიგზის სადგურები მანდოკი, ფენიეშლიტკე, კიშ-ვარდა, ტედეი.

ბუდაპეშტის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, მდინარეებს ტისასა და დუნაის შუა, დაიკავეს კომუნიკაციების დიდი კვანძი — ქალაქი კეჩკემეტი, ქალაქი და რკინიგზის საკვანძო სადგური კიშკერეში, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები უჯ-კეჩკე, ლაიოშმიზე, კერეკეღჰაზა, შალტვადკერტი, კეჩელი, ხარტა, დუნაპატაი, გედერლაკი, უსოდი. 31 ოქტომბერს მდინარეებს ტისასა და დუნაის შუა ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 1.500 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამრიგად, 31 ოქტომბრის ბოლოს ჩვენი ჯარების მიერ მდინარეებს ტისასა და დუნაის შუა ტყვედ წამოყვანილ გერმანელ და უნგრელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა რიცხვი 5.518 კაცამდე გაიზარდა, აეროდრომზე იზაკის რაიონში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის 48 თვითმფრინავი.

(დასასრული მე-4 გვ.).

წითელმა არმიამ განდევნა მერმანელი შამისები ჩვენი საბჭოთა საზღვრებიდან მაშველარჯოს ჩვენს თავისუფალ საბჭოთა საბჭოთაზლს!

გამარჯვების ბაბილი ნამი

[illegible]

საბჭოთა საბჭოთაზლისათვის

[illegible]

სტალინი ჩვენი საბჭოთაზლის ვანგათავისუფლებელია

[illegible]

ჩვენ ლენინ[illegible]ან ვართ

[illegible]

ვოლგიდან დენაიმდე

[illegible]

ვინი შესრულებულია

[illegible]

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

1 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

31 ოქტომბრის ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 129 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 20 თვითმფრინავი.

* *

კარელიის ფრონტის ჯარებმა მთლიანად გაათავისუფლეს გერმანელ დამპყრობთაგან საბჭოთა ამიერპოლარეთი. ჩვენი მებრძოლები, რომლებიც მეტისმეტად ძნელ ბუნებრივ პირობებში მოქმედებდნენ, განუწყვეტლივ სდევნიდნენ მტერს და აყენებდნენ მას ზარალს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ერთ რაიონში გერმანელებმა საბჭოთა ნაწილების შეკავების მიზნით გზაზე დააყენეს დიდი რაზმი. ჩვენი მებრძოლების ჯგუფმა ამხ. შიშოვის მეთაურობით შემოვლითი მანევრით მიადგა შემოვლითი მტერს და მოწინააღმდეგეზე ზურგიდან მიიტანა იერიში. ჰიტლერელებმა ვერ გაუძლეს დარტყმას და გაიქცნენ. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა გაცხარებულ ბრძოლაში გაანადგურეს 400-მდე ჰიტლერელი. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

უნგრეთში, ქალაქ ნიირედჰაზას ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩ შენაერთის ნაწილებმა ერთ უბანზე ძლიერი დარტყმით მოიმწყვდიეს მოწინააღმდეგე მდინარე ტისას მისადგომებთან. გერმანელთა და უნგრელთა დაქსაქსული ჯგუფები მდინარესთან მიმწყვდეულ და მოსპობილ იქნენ. ჩვენმა სხვა ნაწილებმა 15 კილომეტრით წაიწიეს წინ და დაიკავეს კომუნიკაციების კვანძი კიშ-ვარდა. ნიირედჰაზას დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც სძლევდნენ მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდი ძალების წინააღმდეგობას, წინ წაიწიეს და დაიკავეს რკინიგზის სადგური ტიდელი. ბრძოლების მსვლელობაში მოსპობილია 1.000-ზე მეტი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დამწვარი და დაზიანებულია მოწინააღმდეგის 16 ტანკი. ხელთ ვიგდეთ 20-ზე მეტი ქვემეხი, საწყობი საომარი მასალით და 2 საწყობი საწვავიანად. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ბუდაპეშტის მიმართულებით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ მდინარეებს ტისასა და დუნაის შუა. განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლები მოხდა უნგრეთის დიდ ქალაქ კეჩკემეტისათვის. ჩვენი ტანკისტები და ქვეითები, რომლებიც გუშინ ქალაქში შეიჭრნენ, გაამძაფრებულ წინააღმდეგობას შეხვდნენ. გარნიზონის დასახმარებლად მოწინააღმდეგემ სასწრაფოდ მოიყვანა გერმანიის 24-ე სატანკო დივიზია. დღის განმავლობაში ჰიტლერელებმა ოცზე მეტი კონტრიერიში მიიტანეს. ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მტრის ყველა კონტრიერიში და დღის დასასრულისათვის მთლიანად დაიკავეს ქალაქი კეჩკემეტი. არასრული ცნობებით, მოსპობილია 2.000-ზე მეტი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დამწვარი და დაზიანებულია მოწინააღმდეგის 40 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა. საბჭოთა ნაწილებმა განავითარეს წარმატება და დაიკავეს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტიდან 55 კილომეტრზე მდებარე სოფელი ლაიოშმიჟე. ჩ შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც მდინარე დუნაის აღმოსავლეთ ნაპირის გასწვრივ უტევდნენ, წინ წაიწიეს 20 კილომეტრით. დასახლებულ პუნქტ კუნელში გარემოცული და მოსპობილია მტრის გარნიზონი, რომელიც 300 კაცისაგან შესდგებოდა.

* * *

ქალაქ პულტუსკის სამხრეთით, მდინარე ნარევის დასავლეთ ნაპირზე, გერმანელთა ქვეითი ჯარის ორმა ბატალიონმა, ტანკების დახმარებით, ღამით იერიში მიიტანა საბჭოთა პოზიციებზე. გაიმართა გაამძაფრებული ბრძოლა, რომლის მსვლელობაშიც გერმანელები უკუგდებულ იქნენ. მოწინააღმდეგემ მალე განიმეორა იერიშები, მაგრამ წარმატებას მაინც ვერ მიაღწია. დილით ბრძოლის ველზე მტრის 300 გვამი დარჩა.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ხომალდებმა ჩაძირეს გერმანელთა ორი ტრანსპორტი.

* * *

უკანასკნელ ხანს გერმანული გაზეთები და რადიოსადგურები განსაკუთრებული თავგამოდებით აქრელებენ ვითომ მონაჭორებს საბჭოთა ჯარების ქცევის შესახებ ბალტიისპირეთში, ტრანსილვანიაში, აღმოსავლეთ პრუსიაში და სხვა რაიონებში. საზიზღარი სიცრუისა და ცილისწამების დახმარებით ჰიტლერელებს სურთ, მიუხედავად გერმანიის მდგომარეობის მთელი უიმედობისა, აიძულონ ჯარისკაცები, აგრეთვე სამოქალაქო მოსახლეობა განაგრძონ უაზრო ბრძოლა.

ფაშისტი არამზადების საზიზღარი მეთოდები უკვე დიდი ხანია მხილებულია და ყველასათვის კარგად არის ცნობილი. ჯერ კიდევ ომის დასაწყისში, 1941 წლის 8 ივლისს საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა ჩვენება გერმანელი ოფიცრისა, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმამდე დიდი ხნით ადრე გესტაპომ დაამზადა „ბოლშევიკების მხეცობათა აღწერის" დიდი ასორტიმენტი. ომის მსვლელობაში ჰიტლერელები იყენებდნენ ყველა ამ ნაყალბევს, აგრეთვე დიდი რაოდენობით ამზადებდნენ და გამოსცემდნენ ახალ ნაყალბევებს. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ამ დღეებში ბელორუსიის მე-3 ფრონტზე ტყვედ წამოყვანილ ჯარისკაცთა ჩვენებანი. აღმოსავლეთ პრუსიის 1-ლი დივიზიის 43-ე ქვეითი პოლკის ეფრეიტორმა მარტინ ფინზონმა განაცხადა: „ოქტომბრის შუა რიცხვებში გესტაპოელებმა დაიწყეს გადაღება კინოფილმისა რუსთა ჯარების მხეცობის შესახებ აღმოსავლეთ პრუსიაში. რუსულ ფორმაში გადაცმული გერმანელები ამტვრევენ ფანჯრებს, ამსხვრევენ ავეჯს, ჰკლავენ პირუტყვს და ცეცხლს უკიდებენ სახლებს. კინოოპერატორები ამას კინოფირზე იღებენ. ეს ფილმი მალე მზად იქნება. ამბობდნენ, გებელსი აჩქარებს და მოითხოვს, რომ ფილმი რაც შეიძლება მალე გამოშვებული იქნას ეკრანზეო". 561-ე ქვეითი დივიზიის 1.141-ე პოლკის მე-8 ასეულის ტყვე ობერ-ეფრეიტორმა ჰერბერტ შტობემ განაცხადა: „მე მოწმე ვიყავი, როდესაც ყველას, ვინც კი უარს ამბობდა აღმოსავლეთ პრუსიიდან წასვლაზე, ეუბნებოდნენ: მიუწოდეთ ლენინგრადის ოლქიდან, ესტონეთიდან, ლატვიიდან და ლიტვიდან გარეკილი საბჭოთა მცხოვრებლები, გესტაპოელები იძულებით ხვრეტდნენ, ლახვრავდნენ ქალებსა და მოხუცებს ბავშვებს ფოტოგრაფიულად იღებდნენ და კინოფირზე გადაჰქონდათ".

ჰიტლერელები ასე ამზადებენ ფილმებს „საბჭოთა ჯარების მხეცობის შესახებ აღმოსავლეთ პრუსიაში".

სიცრუის ბინძური ნაკადი, რასაც ჰიტლერელები აფრქვევენ, ვერ მოსცხებს ჩრდილს მაღალ წითელი არმიის ღირსებას. უმწიკვლო და კორექტული საქციელით საბჭოთა მეომრებმა მოიპოვეს საყოველთაო პატივისცემა რუმინეთის, პოლონეთის, ბულგარეთის, ჩრდილოეთ ტრანსილვანიის ქალაქებსა და სოფლებში, იუგოსლავიაში, უნგრეთში, ნორვეგიაში, ჩეხოსლოვაკიაში. ეს სიმართლე საბჭოთა მებრძოლებისა და ოფიცრების ქცევის შესახებ მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ახლა ყველასათვის ცნობილია. გერმანელი არამზადები ფურცლებით ნაყალბევით ვერ შესძლებენ ამ ცნობილი და უდავო ჭეშმარიტების დამახინჯებას. არავინ არ დაუჯერებს კეტელის, ჩაჩიარის, მკვლელ ჰიტლერელ ჯალათებს. გერმანელთა მიერ ოკუპირებული ყველა ქვეყნის მცხოვრებნი სიხარულით ეგებებიან წითელ არმიას, რომელიც მათ გერმანელ ფაშისტთა მონობისაგან ათავისუფლებს.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ.

ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 1 ნოემბერი. (ტასი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

31 ოქტომბრის მთელი დღის განმავლობაში სწარმოებდა მძიმე ბრძოლები რკინიგზის მთელ ზოლზე, რომელიც ზიდ-ბეველანდს კუნძულ ვალხერენთან აერთებს. ჰერტოგენბოსსა და ბრედას შუა მდებარე რაიონში მოკავშირეთა ჯარები წყლის ზოლებს მიადგნენ და გადალახეს მდინარე აუდფენინის ჩრდილოეთით და დორდრეხტისაკენ მიმავალი მაგისტრალის რაიონში, ბრედის ჩრდილო-დასავლეთით. კაპელენს ჩრდილოეთით მოკავშირეები მდინარე მაასს მიადგნენ, დაიკავეს რაამსდონკი, სპრანგი და ვაალვაიკი. სამხრეთ-აღმოსავლეთ ჰოლანდიაში სწარმოებდა მძიმე ბრძოლები ლიესელის მიდამოებში. მოწინააღმდეგე განდევნილია ქალაქიდან.

31 ოქტომბრის ღამით მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ კელნს. მოკავშირეთა ჯარებმა გასტეხეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და შევიდნენ სან-ბენუაში რანდუზილიეს აღმოსავლეთით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის შესახვედრად

ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲘ

დიდი ხანი არაა, რაც უფროს ლეიტენანტ ხურცილავას ქვეგანაყოფში პარტორგად ამხ. გ. ცხაკაია მუშაობს. მას პარტიული მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს. იგი თავის საქმეს კარგადაც უძღვება.

პარტორგის სამუშაო გეგმა, უშუალოდ დაკავშირებულია ქვეგანაყოფის საბრძოლო და პოლიტიკურ ცხოვრებასთან. პარტორგის მუშაობის დადებით მხარეს შეადგენს აგრეთვე ჩატარებულ სამუშაოთა აღრიცხვიანობის კარგად დაყენება. მას აქვს სპეციალური „პარტორგის რვეული", რომელშიც წესიერადაა გაფორმებული პარტიულ კრებების ყველა ოქმი.

ამხ. ცხაკაია წინასწარ ემზადება პარტიული კრების მოწვევისათვის. პირველ ყოვლისა, იგი ღრმად სწავლობს პარტიულ კრებაზე განსახილველ საკითხებს, კრების მოწვევამდე რამდენიმე დღით ადრე თვალსაჩინო ადგილას გააკრავს ხოლმე განცხადებას. პარტორგანიზაციის წევრები დღის წესრიგში დასმულ საკითხებს ადრევე ეცნობიან. მარტო ამით როდი კმაყოფილდება პარტორგი. იგი იწვევს ცალკეულ კომუნისტების თათბირს, ესაუბრება მათ და ამზადებს პარტიულ კრებაზე აქტიურ მონაწილეობისათვის.

პარტიული ორგანიზაციის რიგები სისტემატურად იზრდება. ამ რამდენიმე ხნის განმავლობაში საკ. კ. პ. (ბ) წევრად და კანდიდატად მიიღეს 6 კაცი. მათ შორის ქვეგანაყოფის მოწინავე ზუმდეგი შ. ოსტაშვილი და კურსანტი ა. ფკალისოვი მიღებულნი არიან საკ. კ. პ. (ბ) წევრებად, ხოლო სერჟანტები — გ. მეზერიშვილი, შ. ტელუში, კურსანტები გ. ემმაკურაშვილი და ი. დევიძე — პარტიის წევრობის კანდიდატებად. ეს ამხანაგები საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები არიან.

ყველა კომუნისტს მიღებული აქვს პარტიული დავალება. პარტიის წევრები — კურსანტი შ. ძაგნიძე აგიტატორია, უფროსი ლეიტენანტი გ. გოროზია პარტგანათლების წრეებს ხელმძღვანელობს, პარტკანდიდატი გ. მეშკულიანი ფიზკულტურის წრის ხელმძღვანელია და სხვ.

პარტიულ დავალებათა შესრულების შემოწმება სისტემატურად სწარმოებს. ამხ. ცხაკაია ეხმარება კომუნისტებს დავალებათა შესრულებაში. დავალებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ იგი ხშირად უკეთებს პარტიულ ორგანიზაციას ინფორმაციას.

პარტორგი ყოველმხრივ ეხმარება ქვეგანაყოფის კომკავშირის ორგანიზაციას (კომორგი გ. ემმაკურაშვილი) სამუშაო გეგმების შედგენაში, კომკავშირელ და კავშირგარეშე ახალგაზრდებისათვის ლექციებისა და საუბრების ჩატარებაში.

პარტორგანიზაცია ახლა გაცხოველებით ემზადება, რათა ქვეგანაყოფი საბრძოლო და პოლიტიკური სწავლების მაღალი მაჩვენებლებით შეხვდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XVII წლისთავს.

უფროსი ლეიტენანტი ხ. ასანიძე.



ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲖᲔᲞᲘᲠᲔ

მებრძოლის ზოგადი მოვალეობანი

ბრძოლა — მებრძოლის მორალურ-ფიზიკურ თვისებათა და სიმტკიცის ყველაზე დიდი გამოცდაა. ხშირად ბრძოლაში ჩაბმა ხდება მომქანცველი მარშის შემდეგ და იგი გრძელდება შეუწყვეტლივ რამდენიმე დღე-ღამე, დღითა და ღამით. ამიტომ, **ბრძოლაში თავისი ამოცანის შესასრულებლად მებრძოლმა უნდა შესძლოს ყოველგვარი სიძნელისა და გაჭირვების გადატანა, უნდა შეინარჩუნოს სიმხნევე, მამაცობა და გაბედულება, უნდა განუხრელად ისწრაფოდეს შეხვდეს მოწინააღმდეგეს, შეიპყროს ტყვედ ან გაანადგუროს იგი.**

თვითეული მებრძოლი ვალდებულია:

— სიტყვაშეუბრუნებლად, ზუსტად და სწრაფად შეასრულოს მეთაურთა ყველა ბრძანება და განკარგულებანი;

— იცოდეს თავისი, ათეულისა და ოცეულის ამოცანები;

— ხელმიწვდენით ჰქონდეს შესწავლილი თავისი იარაღი, იცოდეს მისი ჩინებულად გამოყენება და მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ჰქონდეს იგი;

— არ დასტოვოს თავისი ადგილი საბრძოლო წყობაში, მოქმედებდეს მეთაურის კომანდისა და მითითების მიხედვით, მუდმივი კავშირი ჰქონდეს მეთაურთან და მეზობლებთან;

— ისწრაფოდეს ურთიერთგამოსახსნელად; ყოველთვის ეხმარებოდეს ამხანაგს ცეცხლით, ხიშტით, გრანატით, ნიჩბით და პირადი დახმარებით; გაუფრთხილდეს და დაიცვას ბრძოლაში მეთაური;

— აწარმოოს ცეცხლის დაშენა ბრძოლაში აუღელვებლად და მარჯვედ: როცა დახარჯავს ვაზნების ნახევარს, მოახსენოს მეთაურს; აარიდოს მოკლულთ და დაჭრილთ ვაზნები და გრანატები, მოკრიფოს ვაზნები და გრანატები ბრძოლის ველზე;

— ზურგიდან დაბრუნებისას თან წამოიღოს საომარი მასალები;

— შეჩერებისას დაუყოვნებლივ ჩასანგრდეს და შეინიღბოს დამოუკიდებლად;

— განუწყვეტლივ ადევნოს თვალი ბრძოლის ველს, მეზობლებსა და ჰაერს; ყოველივე შემჩნეული მოახსენოს თავის მეთაურს;

— მეთაურის მწყობრიდან გამოსვლისას დაუყოვნებლივ იკისროს ათეულის მეთაურობა და განაგრძოს ბრძოლა;

— თავისი ათეულიდან მოწყვეტისას დაუყოვნებლივ შეუერთდეს მახლობელ ათეულს და განაგრძოს ბრძოლა მის შემადგენლობაში;

— დაჭრისას შეიხვიოს ჭრილობა და განაგრძოს ბრძოლა; მეთაურის ნებართვით შემხვევ პუნქტში წასვლისას თან წაიღოს პირადი იარაღი და ერთი შეკრულა (კოლოფი) ვაზნა; თუ ვერ შესძლებს მოძრაობას — გადაიხვიდეს თოფითურთ თავშესაფარში და უცადოს სანიტარს.

აკრძალულია ბრძოლის ველის დატოვება დაჭრილთა გასაყოლად.

პ/მგ. რედაქტორი **Ი. ᲚᲐᲕᲠᲣᲮᲘᲜᲘ**

პ/მგ. რედაქტორის მოადგილე **Ვ. ᲓᲐᲠᲐᲮᲔᲚᲘ**

გ—659451

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ПОЛЕВАЯ ПОЧТА 33175 С